



**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის**

(ო ქ მ ო №12

ქ. ბათუმი

**2019 წლის 19 სექტემბერი
11⁰⁰ საათი**

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ მ ბ ო ზ ნ ე ნ :

- | | |
|----------------------|--|
| თამაზ სალუქვაძე | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| ლაშა სირაბიძე | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| თემურ კახიძე | საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ნატალია ზოიძე | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ძიძიგური | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე; |

ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარე;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს ფრაქცია „ბათუმის“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
გელა დეკანაძე	საკრებულოს წევრი.

არ ესწრებოდნენ:

დიმიტრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ - დავით კოპინაძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;

შპს „სანდასუფთავების“ ადმინისტრაციის უფროსი - ირაკლი პაპუნაიშვილი;

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ დირექტორი - ბადრი ფარტენაძე;

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ იურისტი - მარად სანიკიძე;

ქ. ბათუმში, მაზნიაშვილის ქ. №37-ში მცხოვრები მოზინადრეები.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე; იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე; ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა და წარმატებები უსურვა დამსწრე-საზოგადოებას. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს 17 სექტემბრის ბიუროს დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო 8 საკითხი, მაგრამ კომისიის სხდომაზე განხილვის შემდეგ საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებით ერთი საკითხი ამოღებულ იქნა დამატებითი შესწავლის მიზნით, დღეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 7 სამართლებრივი პროექტის განხილვა.

გთხოვთ პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით დასვით კითხვები.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტში ხშირად არ შედის ცვლილებები, როგორც გასულ წლებში ხდებოდა, რის გამოც მისთვის გაუგებარია აღნიშნული საკითხი საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვად.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მერის ინიციატივით ჩაინიშნა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა და აღნიშნული საკითხის ირგვლივ ისაუბრებენ მერიის სამსახურის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიაძე)

საკითხი 2. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 5. მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

საკითხი 6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M3 კატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ იურისტი მარად სანიკიძე)

საკითხი 7. „მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: შპს „სანდასუფთავების“ ადმინისტრაციის უფროსი - ირაკლი პაპუნაიშვილი)

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 3 (გ. დეკანაძე, ნ. დუმბაძე, ლ. ანთაძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე. მან საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამში.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ აღნიშნა, რომ არაერთი განცხადებაა შემოსული დაზუსტების სახით, რამდენიმე სიუჟეტია გადაცემული, რომელიც ეხება თურქი ბიზნესმენის ნურეთინ ჩარმიქლის სახელის მინიჭება ერთ-ერთი ქუჩისთვის, მას აინტერესებს თუ რა დამსახურებისთვის მიენიჭა ცენტრალურ ქუჩას მისი სახელი, როცა საქართველოს უამრავი დამსახურებული მოღვაწეები ჰყავს, თუმცა წლები სჭირდება გარდაცვალებიდან მათი სახელის მისანიჭებლად. ასევე ისაუბრა ბათუმის საბავშვო ბაღებში ადგილების რაოდენობის შესახებ, რომ 1600 ბავშვი დარჩა ბაღის გარეშე. ფრაქცია „ბათუმის“ სახელით წარმოდგენილი იქნება მისი წინადადება, ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ მიულოცა გამარჯვება ბერძნულ-რომაული სახეობის ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ბლოკში ოქროს მედლებისთვის ორ ქართველ ფალავანს, ნუგზარ წურწუმიას და ლაშა გობაძეს. ნუგზარ წურწუმიამ ქართველ გულშემატკივარს 2007 წლის შემდეგ პირველად, საქართველოს ბერძნულ-რომაული სახეობის ჭიდაობაში პირველი ოქროს მედალი მოუტანა. მათ მომავალში წარმატებები უსურვა. ასევე აღნიშნა, რომ ტურისტული სეზონისთვის მოსაწესრიგებელია სადისტრიბუციო მანქანების მოძრაობის რეჟიმი, რადგან დღის განმავლობაში ქმნიან საცობებს. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას სთხოვა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეგულაციების დაწესება.

საკრებულოს წევრმა გოჩა მგელაძემ აღნიშნა, რომ ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა M2 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (მიკროავტობუსების) ტექნიკური დათვალიერება, რომლის მიზანია ტექნიკურად გამართული მიკროავტობუსების შერჩევა, რაც მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაყვანას უზრუნველყოფს, თუმცა საწყენია, რომ ბათუმის მერიისგან არ გაპირებულა და მოსახლეობამდე არ მისულა საერთო საქმე. მხოლოდ საკრებულოს აპარატის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ მოხდა გაშუქება, რისთვისაც მადლობა გადაუხადა.

საკრებულოს წევრმა თამაზ სალუქვაძემ მერიის სამსახურებს სთხოვა ტრაილერებისთვის ადგილის გამოყოფის თაობაზე კონტროლი, რადგან ქალაქის ტერიტორიის რამდენიმე ადგილას შეიმჩნევა გაჩერებული ტრაილერები.

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ არჩილ მამულაძეს უპასუხა, რომ ნურეთინ ჩარმიქლი არის ქართველი, ლაზი. რაც შეეხება მის დამსახურებას არის ბრენდული სასტუმროს მშენებელი და საქართველოს მხარდამჭერი. ასევე აღნიშნა, რომ მაზნიაშვილის 37-ში მცხოვრები მობინადრეები ესწრებიან სხდომას, რომლებიც უკმაყოფილო არიან დაუსრულებელი მშენებლობის გამო. მოტყუებული დარჩნენ ინვესტორისგან, მათ არ გააჩნიათ ქონების ხელშეკრულება, მან სხდომის თავმჯდომარეს სთხოვა მობინადრეების მოსმენისთვის დროს გამოყოფა. ასევე ისაუბრა წლების განმავლობაში არასაკმარისი საბავშვო ბაღების თაობაზე, რადგან 1600 ბავშვი დარჩა საბავშვო ბაღის გარეშე და ამ კუთხით დასაწყებია მუშაობა.

საკრებულოს წევრმა ირაკლი პატარიძემ აღნიშნა, რომ პარტია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისას ბათუმში იყო 25 საბავშვო ბაღი, დღეს კი 33-ია, მერიას თხოვნით მიმართა, რომ 2020 წლის ბიუჯეტში საბავშვო ბაღების მშენებლობისათვის გამოყოფილი იქნას თანხები. ასევე ეთანხმება არჩილ მამულაძეს, რომ ნურეთინ

ჩარმიქლის სახელის მინიჭება ქუჩისთვის თავიდანვე შეცდომა იყო. მან მიულოცა ლაშა გობაძეს და ნუგზარ წურწუმისას მსოფლიო ჩემპიონობა და წარმატებები უსურვა.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ აღნიშნა, რომ მაზნიაშვილის ქუჩა 37-ში მცხოვრებ მოზინადრეებს მოუსმენენ სხდომის დასრულებისას.

საკრებულოს წევრმა ნოდარ დუმბაძემ აღნიშნა, რომ მაზნიაშვილის ქუჩა 37-ში მცხოვრებ მოზინადრეებზე მოლაპარაკებას აწარმოებდა მაღალჩინოსანი ჯუმბერ კობალაძე, რომელმაც შუა გზაზე მიატოვა. ასევე აღნიშნა, რომ ბათუმის 21-ე საბავშვო ბაღის რამდენიმე წლიანი სასამართლო დავა დასრულდა, შენობაში იჯარით მყოფი შპს გამოასახლეს, რისთვისაც საჭიროა შენობის რეაბილიტაცია.

საკრებულოს წევრმა გელა დეკანაძემ აღნიშნა, რომ 2014 წელს ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა ბოტანიკური ბაღის ტერიტორიიდან გამოესახლებინა ოჯახები, რისთვისაც 2015 წელს ლერმონტოვის ქუჩაზე ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი კომპანიის მიერ აშენდა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით საცხოვრებელი სახლი, მაგრამ დარღვევით, სახლი გადაიხარა და დასჭირდა ხიმინჯების დამონტაჟება, რის გამოც 27 საბავშვო ბაღის შენობის კედლები დაიზარა და ავარიული სიტუაცია შეიქმნა. ექსპერტიზის დასკვნის შედეგად ბავშვების გამოყვანა მოხდა. საბავშვო ბაღი ექსპლუატაციას არ ექვემდებარებოდა, თუმცა ბიუჯეტიდან გამოიყო 840 ათასი ლარი და მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები. საკრებულოს მიმართა თხოვნით, რომ შესაბამისი კომისიის მიერ მოხდეს აღნიშნული სამუშაოების შესწავლა.

საკრებულოს წევრი ნატალია მიძიგური გამოვიდა ინიციატივით, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ დაიწყოს მუშაობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით იმ თავისუფალი ადგილების გამოვლენა, სადაც შესაძლებელი იქნება საბავშვო ბაღების მშენებლობა.

საკრებულოს წევრმა თამაზ სალუქვაძემ ოპოზიციის გამოსვლა ამ საკითხზე შეაფასა, როგორც სირცხვილი და ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ამ სიტყვას მიზანმიმართულად ამბობს და არა სიმბოლურად. სირცხვილია იმაზე საუბარი, რომ თურმე ბაღები არ ყოფნის, ამას ყველა ჩვენთაგანი ეთანხმება, მაგრამ სირცხვილია ამაზე ილაპარაკოს იმ ხალხმა, რომლებმაც თავის დროზე ბაღები თავიანთ კოორდინატორებს და აქტივისტებს გადასცა. კონკრეტული მისამართები და სახელებიც შეუძლია დაასახელოს, მაგრამ მაგალითისთვის მაქაცარიას №7-ში არსებული საბავშვო ბაღის შენობა მოიყვანა.

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ უპასუხა, რომ შვიდი წელია ხელისუფლებაში ხართ და ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე ლაპარაკობთ. როგორ არ გრცხვენიათ, რაზედაც საუბრობთ, 1600 ბავშვის დატოვება ქუჩაში, მართლა სირცხვილია.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ განაცხადა, რომ მართლაც არასაკმარისია საბავშვო ბაღები, მოიყვანა სტატისტიკა, საიდანაც ჩანს, რომ ქალაქში იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, შესაბამისად იზრდება როგორც სკოლამდელი, ასევე სასკოლო ასაკის ბავშვთა რაოდენობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა მსჯელობა და კონსენსუსამდე მიღწევა.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ განაცხადა, რომ მოსახლეობის პრობლემები იციან, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლამდე 42 ბაღი იყო ბათუმში, დღეს 33-ია. მათ შეამცირეს საბავშვო ბაღების რაოდენობა, მაგრამ მომავალში დაგეგმილია მშენებლობები. წინა მოწვევის საკრებულოში მუშაობის პერიოდში შეიქმნა კომისია ვაუჩერიზაციასთან დაკავშირებით, თუმცა დღეს კერძო საბავშვო ბაღები ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. მიმდინარეობს მუშაობა 2020 წლისთვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის №74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილება. ასევე გადასახდელების ცვლილება ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით. ბიუჯეტის შემოსულობებში და გადასახდელებში ასახული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის თანხა. ასევე, ელექტრონული ტენდერების და ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შედეგად დაფიქსირებული ეკონომიების ხარჯზე გათვალისწინებული იქნა ახალი ქვეპროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება; წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გარდამავალი ფულადი სახსრების ნაშთი; სპეციალური ტრანსფერი - 266,9 ათასი ლარით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა "ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის" პროექტის ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების დღგ-ის 50% გადახდის მიზნით; სპეციალური ტრანსფერი - 1,800,0 ათასი ლარით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა; სხვა შემოსავლები - 1,880.0 ათასი ლარით, 8 თვის ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით იზრდება წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი, კერძოდ: პროცენტები - 640.0 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 280.0 ათასი ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავები - 550.0 ათასი ლარი; შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 410.0 ათასი ლარი;

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 4,046.9 ათასი ლარით. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა ლევან ანთაძემ ისაუბრა შპს-ების სუბსიდირებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ავტოტრანსპორტისა და ბათუმის

წყალის შესახებ, რის გამოც მერია უნდა ცდილობდეს მათი ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად. ასევე ჯინჭარაძის ქუჩაზე აფეთქებული სახლის ადგილზე აშენებული სახლისთვის ოჯახებს გადაეცა 250 ლარი კვადრატულზე, შავი კარკასის მოსაწყობად, რისთვისაც არასაკმარისია თანხა. ა(ა)იპ გამწვანების სამსახურს ემატება 115 ათასი ლარი შრომით ხელშეკრულებებში, აქ არ ჩანს ღონისძიებების დაფინანსება. სარაგბო კლუბის ხელფასი იზრდება, როცა შეიძლება სპონსორების მიერ მოხდეს დაფინანსება.

საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ კომისიის სხდომაზე შეთანხმება მოხდა, რომ მოწვეული იქნება შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ ხელმძღვანელობა კითხვებზე პასუხის გასაცემად.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ ჩაიკოვსკის ქუჩა კეთილმოეწყო, რისთვისაც მოსახლეობა ითხოვს გამწვანებას, ხემცენარეების დარგვას.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი-3 (გ. დეკანაძე, ნ. დუმბაძე, ლ. ანთაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს : საკითხი 2. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების მიღების მიზეზია: „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის N4-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების

მიღება, ხოლო მიზანია: ქ. ბათუმში, ანგისის I შესახვევიდან მდინარე მეჯინისწყლის მიმდებარე ტერიტორიის ურბანული დაგეგმარება, გზების გაყვანა. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს მოუწესრიგებელ ტერიტორიას, რის გამოც დღის წესრიგშია მისი მოწესრიგება. ბოლო დროის განმავლობაში ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე მშენებლობის მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა საკმაოდ ბევრმა მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა მაღალი კორპუსების მშენებლობის მიზნით და დღის წესრიგში დადგა ზემოაღნიშნული საკითხის მოწესრიგება.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 15 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა: 4 (თ. სალუქვაძე, ლ. ანთაძე, ი. პატარიძე, ზ. ნაკვიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (გ. დეკანაძე, ნ. დუმბაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 3. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შპს „დინამო ბათუმი“-ს 100 %-ანი წილის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადმოიგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შესული წერილი №01-01-10/4332; 27.08.2019წ.), რომელშიც აღნიშნულია, რომ სამინისტროს 2019 წლის 26 ივლისის N01-01-10/3767 კორესპონდენციით, შპს „ბათუმის დინამო“-ს 100%-იანი წილის 49 წლის ვადით მართვისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხთან დაკავშირებით, პრეტენდენტი კომპანიის - შპს „ლამინი“-ს (ს/კ 445533469) განცხადებების თანახმად, ანგისის საფეხბურთო ბაზის განვითარების რეგულირების გეგმის მიხედვით, ესაჭიროება შპს „დინამო ბათუმი“-ს საკუთრებად რეგისტრირებული ქალაქ ბათუმში, დასახლება ანგისაში მდებარე 2889,7 კვ.მ. შენობა-ნაგებობებისა (საერთო ფართი) და მათზე დამაგრებული 72626,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.02.135) მხოლოდ ნაწილი, კერძოდ 58613,0 კვ.მ. (წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის

მიხედვით). გთხოვთ, დააზუსტოდ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N41 განკარგულებაში აღნიშნული პირობა უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემის ნაწილში. წერილში აღნიშნულია, რომ მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.32.02.135) დარჩენილი ნაწილი, კერძოდ 14 013 კვ.მ. ფართი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განიკარგება სხვა საინვესტიციო პირობების განხორციელების მიზნით. სამინისტრო ითხოვს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N41 განკარგულებაში შესაბამისი ცვლილების შეტანას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N41 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება -დაზუსტება შპს „ლამინი“-სათვის სარგებლობაში გადასაცემი უძრავი ქონების ნაწილში.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ნაკაიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „გ“ უძრავი ქონების დარჩენილი ნაწილი, კერძოდ 14013,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით (თანდართული აზომვითი და სიტუაციური ნახაზების მიხედვით), გადაეცეს (დაუბრუნდეს) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.“.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ცვლილების გათვალისწინებით დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16 საკრებულოს წევრი

არ ესწრებოდა: 3 (თ. სალუქვაძე, ლ. ანთაძე, ი. პატარიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი, ცვლილების გათვალისწინებით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წლის 01 აგვისტოს №034 (№20831/25) წერილით მომართა შპს „პიაცა ჰოლდინგ“-მა, რომელშიც აღნიშნა, რომ შპს „პიაცა ჰოლდინგი“-ს სასტუმროების კომპლექსი მდებარეობს ქ. ბათუმის ისტორიულ ზონაში და მას არ გააჩნია არანაირი დამხმარე ნაგებობა, რაც ართულებს იქ არსებული ობიექტების ფუნქციონირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „პიაცა ჰოლდინგ“-ის მიერ მოთხოვნილი იქნა ქ. ბათუმში, ფარნავაზ მეფის ქ. №25-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 11,40 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.502) შპს „პიაცა ჰოლდინგი“-სათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზება, აღნიშნულ ფართში დამხარე ნაგებობის ფუნქციონირების მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ 2019 წლის 20 აგვისტოს №25/19611 წერილით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ზემოაღნიშნული ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში გადასაცემად შესაბამისი პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით, შემდგომში შპს „პიაცა ჰოლდინგი“-სათვის პირდაპირი წესით განკარგვის მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 09 სექტემბერს წარმოდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის №2015/02 წერილი (№23447/25), რომელშიც მოყვანილია ზემოთაღნიშნული გარემოებები, საკითხთან დაკავშირებით განხორციელებული მიმოწერები და აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11,40 კვ.მ. ფართი გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში, შემდგომში შპს „პიაცა ჰოლდინგი“-სათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით გასხვისების მიზნით. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით შპს „აუდიტ ეკონომიკის“-ს 2019 წლის 05 სექტემბრის №ბთ/მ-42 დასკვნით აღნიშნული უძრავი ქონების საწყის საპრივატიზებო ღირებულებად განსაზღვრულია 15390,0 ლარი.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოთაღნიშნული არასაცხოვრებელი ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში მისი შპს „პიაცა ჰოლდინგი“-სათვის პირდაპირი ფორმით 20000,0 ლარად განკარგვის მიზნით, ქონების საკუთრებაში განკარგვიდან შემოსული თანხების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩარიცხვის პირობით.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 1 (გ. დეკანაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 5. მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №15 განკარგულებით დამტკიცდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი“ ქვეპროგრამით „საცხოვრებელი სახლების მშენებლობა“ გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლით („ხელმისაწვდომი საცხოვრისით“) სარგებლობის კრიტერიუმები და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი. ამავე განკარგულებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს დაევალა ხელმისაწვდომი საცხოვრისით მოსარგებლეთა შერჩევის პროცესის დაწყების მიზნით, განკარგულებით დამტკიცებული კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის მიხედვით, უზრუნველყოს შემდგომი პროცედურების განხორციელება - დაინტერესებულ პირთა განცხადებების მიღება, განხილვა, ბენეფიციართა შერჩევა და ბენეფიციარებისთვის საცხოვრებელი ბინების გადაცემის მარეგულირებელი შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა.

მუნიციპალური პროგრამა „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ ითვალისწინებს დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეული ოჯახებისათვის იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინის, მისი თვითღირებულების 15 წლის განმავლობაში გადახდის სანაცვლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელია შერჩეული ოჯახებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით საცხოვრებელი ბინის საკუთრების უფლებით გადაცემით, რისი განხორციელებაც მუნიციპალიტეტის მიერ მოქმედი კანონმდებლობით შეუძლებელია, რადგან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 118-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრების უფლებით გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ აუქციონის ფორმით. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის წესით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო საკრებულოს თანხმობით მუნიციპალიტეტის ქონებას გასცემს მხოლოდ სარგებლობის უფლებით. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით, მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დამოუკიდებლად განხორციელება შეუძლებელია.

შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 18 აპრილის №25/7172 წერილით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ეთხოვა მუნიციპალური პროგრამისათვის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ გამოცხადებინა მხარდაჭერა და გაეცა ადმინისტრაციული დაპირება, რაზედაც აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2019 წლის 05 სექტემბრის №350 ბრძანებით გაცემული იქნა ადმინისტრაციული დაპირება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადასაცემი საცხოვრებელი ბინების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ პროგრამაში - „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ მონაწილე იმ პირებისათვის საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე, რომლებიც სრულად და ჯეროვნად შეასრულებენ მუნიციპალიტეტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, იმ შემთხვევაში თუ ქონებ(ებ)ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა მოხდება პოზიტიური პირობით (გადაცემის ფასის, ქონების მიმღების, ქონების საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით)“. შესაბამისად, დამტკიცებული სარგებლობის კრიტერიუმებისა და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტის საფუძველზე უნდა მოხდეს პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევა, განხორციელდეს შერჩეული ოჯახებისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით 15 წლის ვადით საცხოვრებელი ბინების გადაცემა, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ; იმ ოჯახებთან დაკავშირებით, ვინც სრულად და ჯეროვნად შეასრულებს მუნიციპალიტეტის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2019 წლის 05 სექტემბრის №350 ბრძანებით გაცემული ადმინისტრაციული დაპირების გათვალისწინებით, მოხდეს საცხოვრებელი ბინების საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა პოზიტიური პირობით (გადაცემის ფასის, ქონების მიმღების, ქონების საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით) და განხორციელდეს აღნიშნული ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ სიმბოლურ ფასად (ერთი ლარი) საკუთრების უფლებით გადაცემა. მითითებული ღონისძიების განხორციელების მიზნით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი“ ქვეპროგრამით - „საცხოვრებელი სახლების მშენებლობა“ გათვალისწინებული იყო და დასრულდა ორი ერთეული 5 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №78ა-ს მიმდებარე ტერიტორიაზე. ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს 2019 წლის 25 ივნისის №90/1930 წერილი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მიღებული იქნას განკარგულება მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. რის შემდგომაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ხელმისაწვდომი საცხოვრისით მოსარგებლეთა შერჩევის პროცესის დაწყების მიზნით, განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში განაცხადების მიღების და დასრულების დროს, დაამტკიცებს შესაბამის აუცილებელ ფორმებს, დაინტერესებული პირების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს, განსაზღვრავს განაცხადების მიღებაზე და პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირებს, ასევე განახორციელებს სხვა საჭირო ღონისძიებებს.

ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ კონსულტანტების მიერ პროგრამით სარგებლობის კრიტერიუმების შემუშავების დროს პროგრამის

ბენეფიციართა მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხები დაანგარიშებულია 2016 წლის მდგომარეობით, თანხების დაანგარიშება ამ ეტაპზე არ არის განხორციელებული, თუმცა მიმდინარეობს თანხების დღეის მდგომარეობით დაანგარიშება.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 1 (ნ. ღუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 6. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მკვატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტის“ იურისტი მარად სანიკიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონით (გამოქვეყნების წყარო, თარიღი: ვებგვერდი, 05/06/2019; სარეგისტრაციო კოდი: 020000000.05.001.019502; ძალაში შესვლის თარიღი: 04/07/2019) ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ა) მიწისზედა ელექტროტრანსპორტით (ტროლეიბუსი, ტრამვაი), ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელი ავტოსატრანსპორტო საშუალებით – გამოიწვევს დაჯარიმებას 20 ლარის ოდენობით.

შენიშვნა:

1. მგზავრი ვალდებულია ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ელექტროტრანსპორტით/ავტოსატრანსპორტო საშუალებით მგზავრობისას მგზავრობის დაწყე-

ბისთანავე შეიძინოს ბილეთი ან ელექტრონული გადახდის საშუალებით გადაიხადოს მგზავრობის ტარიფით განსაზღვრული თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უბილეთო მგზავრად მიიჩნევა.

2. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის პირს დაერიცხება საურავი დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში დამრღვევის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება;

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მკვატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №7 დადგენილებით დამტკიცებული საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმით (დანართი №2) განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობაა 5 (ხუთი) ლარი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილების შედეგად კი საჯარიმო თანხა განისაზღვრა 20 (ოცი) ლარით, ხოლო ჯარიმის განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში საურავი განისაზღვრა დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობით ნაცვლად 50 (ორმოცდაათი) ლარისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას (ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მკვატეგორიის ავტობუსით უბილეთო მგზავრობა) საჯარიმო ქვითრის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) ფორმის, მისი შევსების, ჩაბარებისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №7 დადგენილებაში ცვლილების მიზანია საჯარიმო თანხის და საურავის თანხის განსაზღვრა.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 1 (ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 2 (ლ. ანთაძე, გ. დეკანაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

საკითხი 7. „მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: შპს „სანდასუფთავების“ ადმინისტრაციის უფროსი - ირაკლი პაპუნაიშვილი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 მაისის N1830 ბრძანებით საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დადებაზე უფლებამოსილ პირებად განსაზღვრული იქნენ: ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები; ბ) შპს „სანდასუფთავება“-ს თანამშრომლები; გ) ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს, ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს, სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სა და შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს თანამშრომლები მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე; დ) ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს თანამშრომლები.

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილების დანართი 2-ით (საჯარიმო ქვითარი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი)) ითვალისწინებს სამართალდარღვევის დაჯარიმებას მხოლოდ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებით დანართი 2 ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, რომელიც ითვალისწინებს საჯარიმო ქვითარის (სამართალდარღვევის ოქმის) შედგენას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ შესაბამისი ნორმის საფუძველზე. ცვლილება ითვალისწინებს აგრეთვე დამრღვევისათვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლება-მოვალეობის შესახებ განმარტების მიცემას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოსაყენებლად შემოღებისა და ამ ფორმების ნიმუშების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 8 აპრილის №8-1 დადგენილებაში ცვლილების მიზანია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ გათვალისწინებული ადმინისტრაციული გადაცდომის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება.

სხდომის თავმჯდომარემ სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 1 (ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 2(ლ. ანთაძე, გ. დეკანაძე)

დასადაგინეს: მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

სხდომის მდივანი:

მზევინარ წულუკიძე

